მარტინ ბუბერი

ცრუწინასწარმეტყველი

როდესაც ხანანიამ იერემია წინასწარმეტყველს ქედიდან უღელი ჩამოხსნა, დალეწა და ხალხს გამოუცხადა, ორ წელიწადში ღმერთი ნაბუქადონოსორის უღელს ხალხების ქედიდან გადმოაგდებსო, იერემია უსიტყვოს წავიდა თავის გზაზე. იერემია მხოლოდ მაშინ მობრუნდა ხანანიასთან, როცა ღმერთმა გაგზავნა მისიით, ეთქვა მისთვის რაც უნდა ეთქვა.

მე ყოველთვის შემძრავს ხოლმე ეს ადგილი, როცა მივადგები მას, და ყოველთვის ახალს ვსწავლობ მისგან. ყველა წინასწარმეტყველთა შორის იერემია არის ერთადერთი, რომელმაც იცოდა, რომ შობის საათიდან იყო არჩეული წინასწარმეტყველად, შესაბამისად ძნელი ისტორიული ვითარებისა და მისგან ნაკარნახევი გადაწყვეტილებისა. ის გერძნობდა, რომ ღვთის ხელი იყო შენახები მის ბაგეს დაამ შეხებამ შეაძლებინა მას ღვთის სიტყვის ლაპარაკი. თავად ღმერთი იყო, რომელმაც უთხრა: "იცოდე, დამიდგენიხარ დღეს ხალხებზე და სამეფოებზეო", და რომ ღვთის განაჩენი, რომელიც ისტირიაში უნდა განხორციელებულიყო, სწორედ მას გამოეცხადება. უფრო მეტიც: Vრთის ბრძანების პასუხად იყო, რომ იერემიამ დაიდო ძელი, რომელიც ხანანიამ დალეწა; დაიდო იმის ნიშნად, რომ ამ ისტორიულ პერიოდში ღვთის ნება იყო, რომ ხალხები დამორჩილებოდნენ ნაბუქოდონოსორს, მის უცხოელ "მსახურს". და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, მას ხმა არ ამოუღია ძელის დალწევისას და ისე წავიდა თავის გზაზე. ის წავიდა ღვთის სიტყვის მოსასმენად. რისთვის წავიდა? ჩანს, ყველაფრის მიუხედავად, კიდევ რჩებოდა რაღაცეები, რაც მან არ იცოდა, ხანანია ლაპარაკობდა იმ ადამიანივით, რომელმაც "იცის ყველაფერი". იერემიასაც ჰქონდა გაგონილი, თუ როგორ ლაპარაკობდა იგი იმ ადამიანივით, რომელმაც "იცის ყველაფერი", მაგრამ რჩებოდა კიდევ რაღაცეები, რაც თავად იერემიამაც არ იცოდა. მართლაც, ღმერთი მას ერთი საათის წინ ელაპარაკა, მაგრამ ის სხვა საათი იყო. ისტორია დინამიური პროცესია, ისტორიაში განვლილი საათი ისეთივე არ არის, როგორიც წინა საათი, რომელიც ახლახან გავიდა. ღმერთი მოქმედებს ისტორიაში, მაგრამ ღმერთი მანქანა არ არის, რომელიც, რაკი ერთხელ მომართეს, გაბაგრძობს მუშაობას, ვიდრე არ ჩათავდება. ის ცოცხალი ღმერთია. ღვთის სიტყვა კი, რომელსაც ის ამბობს განსაზღვრულ ჟამს, სიტყვა, რომელსაც ემორჩილება კაცი ქედზე უღლის დადგმით, პლაკატივით არ უნდა იყოს ჩამოკიდებული. ღმერთს აქვს ჭეშმარიტება, მაგრამ მას არა აქვს სისტემა. ის გამოხატავს ჭეშმარიტებას თავისი ნების მეშვეობით, მაგრამ მისი ნება პროგრამა არ არის. ამ საათში ღმერთს სურს ესა თუ ის რაიმე კაცობრიობისთვის, მაგრამ ადამიანებისთვის მას მინიჭებული აქვს თავისუფალი ნება და საკმარისი ძალაც ამ ნების განსახორციელებლად. ამგვარად, ადამიანებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი ნება ერთ ჟამიდან მომდევნო ჟამამდე, ხოლო ღმერთს, რომელიც ღრმად არის დაინტერესებული ადამიანებივით, მათი ნება და ამ ნებით შესაძლო ცვილლებებით, შეუძლია ადამიანის ნების შეცვლისას შეცვალოს თავისი გეგმა ადამიანთა მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული რეალობა შეიძლება შეიცვალოს. არავინ არ უნდა დაენდოს თავის ცოდნას. კაცი თავის გზაზე უნდა წავიდეს და კვლავ მოისმინოს ყველაფერი. იყო რაღაც, რაც იერემიამ არ იცოდა, მაგრამ იცოდა, რომ არ იცოდა. სოკრატესაც რაღაც მსგავსი აქვს ნათქვამი თავის თავზე. მაგრამ იერემია იმით განსხვავდება სოკრატესაგან, რომ მან იცოდა, რომ ჟამიდან ჟამზე შეეძლო რაღაც ახლის სწავლა. სოკრატესაც, ასე გვეუბნება თავად, ხანდახან ესმის დიამონიონის ხმა, მაგრამ დიამონიონი მას მხოლოდ იმას ეუბნება, რაც არ უნდა გააკეთოს. სიტყვაკი, რომელიც იერემიას მოძღვრავდა, ეუბნებოდა, რა უნდა გაეკეთებინა, და რა ეთქვა. თუ ვინმე ისმენს ხანანიას ხმას და არ ძალუძს ღვთის ხმის გაგონება, ალბათ იმის გამო, რომ "ოდნავი ჩქამი" (მე-3 მეფ. 19, 12) შეიძლება ხანანიების ხმით ჩაიხშოს, მისთვის უმჯობესია,იაროს საკუთარი გზით და ისმინოს.

ხანანიამ "იცოდა ყველაფერი", მან არ იცოდა ჭეშმარიტება, რადგან "იცოდა ყველაფერი". რას ნიშნავს ეს? მან თქვა, რომ ღმერთი ამბობს, დღესვე დავლეწავ ბაბილონის მეფის უღელსო. საიდან იცოდა ეს? მას არ უთქვამს, ღმერთმა გამომიცხადაო.

ის, ცრუწინასწარმეტყველი, არ ტყუოდა, ხანანია სულაც არ იყო მატყუარა, ის იმ ჭეშმარიტებას ამბობდა, რომელიც იცოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მან არ იცოდა ესა თუ ის ჭეშმარიტება და არც შეეძლო ცოდნოდა, რადგან არასოდეს ესმოდა. რას ნიშნავდა საკუთარი გზით სიარული და მოსმენა. მას სამართლიანად შეარქვეს ესაიას კარიკატურა. ის ბაძავს ესაიას. წინასწარმეტყველმა ესაიამ გამოაცხადა ღვთის ნება, რომ ღმერთი მოხსნიდა აშურის უღელს თავისი ხალხის ქედიდან (ესაია 10, 27). აქედან ხანანიამ დაასკვნა, რომ ღმერთს აღთქმული აქვს ბაბილონის გოდოლის დალეწვა, რაკი ვითარება იგივე ჩანდა. მაგრამ ვითარება არ იყო იგივე. როცა ესაია ღვთის ნებას აცხადებდა, ისრაელს დაკისრებული ჰქონდა ისტორიული ამოცანა, არა რელიგიური ვალდებულება, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ამოცანა, რომელიც ეხებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ერის მთელ ცხოვრებას მოიცავდა. მეფე ხიზკიას თაობისგან მოსალოდნელი იყო, რომ ის იტვირთავდა და აღასრულებდა ამ ამოცანას და, ჩანდა, თითქოს ასე უნდა მმხდარიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. იოშიას თაობამ, რომელმაც იტვირთა ეს ამოცანა, ვერ შეძლო მისი შესრულება, რადგან ისტორიული პირობები შეცვლილი იყო. ამის შეუსრულებლობა გამოიწვია შედეგად ვითარება, რის გამოც და რისთვისაც იერემია ხალხისგან მოითხოვდა: მიეღოთ ხვედრი და აღესრულებინათ ამ ხვედრის უღრმესი აზრი მთლიანად ღვთისკენ მობრუნებით. ანუ, ბაბილონის უღლის ზიდვით და მოემზადებინათ ახალი თავისუფლება. ჭეშმარიტი თავისუფლება მონობაში. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც კატასტროფა მოხდა, მას შემდეგ, რაც გადასახლება დაიწყო, იერემიამ დაპირება გამოთქვა შეცვლილი ვითარებისა და ცვლადი თაობის კვალობაზე. ის პირდებოდა, რომ ბაბილონის უღელი გადარავრდებოდა მათი ქედიდან. ხანანიას წინასწარმეტყველება, რომელიც ამგვარად შეიცვალა, გამართლდა. მაგრამ ხანანიამ ყოველივე ამის შესახებ არაფერი ოცდა. ხანანიასთვის ღმერთი ადამიანი იყო, რომელიც თავის პრინციპებს ერთგულობს და რომელსაც თავი აქვს შებორკილი ესაიასადმი მიცემული პირობით. იგი დაპირდა, რომ დაიფარავდა "ამ ქალაქს" და, ამრიგად, ცრუწინასწარმეტყველნი აიძულებენ მას თქვას სრულიად შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში, რომ იგი ისრაელს ჭეშმარიტ მშვიდობას მისცემს "ამ ადგილას". ხანანიამ არ იცოდა ისეთი რამ, როგორიც არის განსხვავებული (შეცვლილი) ისტორიული ვითარება. მან არ იცოდა, რომ არსებობს სიეთი რამ, როგორიც არის დანაშაული, რომელიც მდგომარეობს არსებული ჟამის უგულებელყოფაში. ამგვარად, მან არ იცოდა, რომ რაც იყო, უკვე აღარ არსებობს. მან ისიც არ იცოდა, რომ არსებობს მიბრუნება, რომლის წყალობითაც ჩვენ გვეძლევა რაღაც შესაძლებლობა, რომელიც ერთი წუთის წინ არ არსებობდა. მან არ იცოდა, რომ ისტორია დინამიური პროცესია. ყველაფერი, რაც მან იცოდა, იყო მბრუნავი ბორბალი და არა შკალა და ასრები ამ შკალაზე, ადამიანის გულივით რომ თრთიან.

ხანანია ჯიქური პატრიოტი იყო და დარწმუნებული იყო, რომ პატრიოტი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც თავად იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ იერემიას არავითარი სიყვარული არ ჰქონდა თავისი ქვეყნისადმი: რომ ჰქონოდა, როგორღა იფიქრებდა, რომ ხალხს ქედი უნდა მოეხარა უღელქვეშ? მაგრამ იერემიას კონკრეტული საწუხარი ქონდა იმის გამო, რაც ხდებოდა. "რისთვის უნდა გაუკაცრილდეს ეს ქალაქი?" ხანანიას არ ჰქონია ასეთი საწახარი. სამაგიეროდ, მას ჰქონდა თავისი პატრიოტიზმი, რომელიც არ აძლევდა საშუალებას, ასეთი საწახარი გაეჩინა. რასაც ის სამშობლოს უწოდებდა, პოლიტიკური ცნება იყო, იერემიას სამშობლო კი ადამიანებით იყო დასახლებული. ეს იყო ცოცხალი და მოკვდავი დასახლება. მის ღმერთს არ სურდა, რომ ეს ქალაქი დაღუპულიყო. ,ას სურდა შეენახა იგი ამ ადამიანთა შებმით უღელში.

ხანანიას თავი დიდ პოლიტიკოსად მიაჩმდა, რადგან მან იფიქრა, რომ საშიშროების ჟამს მოახერხა ხალხის წინააღმდეგობის გაძ იერება. მაგრამ, რაც მან ნამდვილად გააძლიერა, ილუზია იყო, რომლის ჩაფუშვა ხალხის ძალის გაცამტვერებას გამოწვევდა. იერემიას კი, პირიქით, სწორედ ამისგან სურდა ეხსნა ისრაელი. ხსნის ერთადერთი გზა რეალობის გამოცნობით ვიწრო და კლდოვან ბილიკზე გადის. ვინც ამ გზას ადგას, ფეხები დასისხლიანებული აქვს და თავბრუსხევა ემუქრება, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა.

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველნი რეალობის ჭეშმარიტი პოლიტოკოსები არიან, რადგან ისინი აცხადებენ თავიანთ პოლიტიკურ პროგნოზებს მთლიანი ისტორიული რეალობის თვალთახედვიდან. რეალობისა, რომლის ჭვრეტა მათ მომადლებული აქვთ. ცრუწინასწარმეტყველნი – პოლიტიკოსები, რომლებიც ილუზიებს ქმნიან, თავიანთი უნიადაგო სურვილებით სავსე აზროვნების ძალას იმისათვის იყენებენ, რომ რაღაც ნაწილიმოახიონ ისტორიულ რეალობას და ჩააკერონ თავიანთი ჭრელ-ჭრელი ილუზიების საბანში. როცა ისინი ჩაგონების მეშვეობით გავლენის მოხდენას დააპირებენ, მაშინ ნათელ ფერებს გამოაჩენენ ხოლმე. ხოლო როცა მათ ჭეშმარიტების მასალას სთხოვენ, ისინი რეალობიდან ამოხეულ ნაგლეჯზე მიუთითებენ.

ხაზკიას ხანაში ცრუწინასწარმეტყველნი თავიანთი ილუზიის პოლიტიკით ხელს უშლიდნენ ამ საქმეში ჩართულ ადამიანებს სრულად გაეზიარებინათ დიდი ამოცანა, ეტვირთათ და აღეზარდათ ხალხი მის შესასრულებლად. ცრუწინასწარმეტყველნი ასრულებენ მხოლოდ იმ დაპირებას, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველურ ცნობებში იყო მოცემული, უვლიდნენ რა გვერდს იმ პირობებს, სადაც ის (დაპირება) ქმედითი უნდა ყოფილიყო, რადგან ხსნის მაუწყებელი ყოველი წინასწარმეტყველება პირობითია. ცრუწინასწარმეტყველებმა ეს პირობითი აღთქმა ისრაელისადმი, რომელსაც თავისი ამოცანა უნდა შეესრულებინა, დაამახინჯეს იმით, რომ უპირობო, ყოველი დროისათვის უტყუარ აღთქმად აქციეს. როცა ეს ილუზია გაბატონდა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხდა, ხალხს გადაუკეტეს ჯერ კიდევ ღია გზა თავისი ხვედრის მისაღებად და სწორედ ამ მიღებით მის შესაცვლელად. მათ ჩაკეტეს გზა იმით, რომ რეალობას მოარგეს ძველი ილუზიები და შექმნეს ახალი და თვალისმომჭრელი, მოაჩვენეს ხალხს გზის არსებობა იქ, სადაც არ არსებობდა გზა და ჩააბნელეს ერათადერთი და ღია გზა. ასეთი იყო ჯიუტი ვითარება, რომელსაც წააწყდა იერემია თავისი უმწეო სიტყვით. რაოდენ საცოდავია ერთი რეალობა ათასი ოცნების წინაშე!

ცრუწინასწარმეტყველნი უღმერთონი არ არიან. მათი სათაყვანებელი ღმერთი "წარმატებაა". ისინი მუდამ საჭიროებენ წარმატებას და აღწევენ კიდეც წარმატებას, როცა ჰპირდებიან მას ხალხს. თუმცა მათ გულწრფელად სურთ ხალხისთვის წარმატება. მხურვალე ჟინი წარმატებისა ბატონობს მათ გულებზე და განსაზღვრავს მათ ყველაფერს, რაც მათგან წარმოიშვება. ეს არის ის, რასაც იერემია "საკუთარი გულის მოტყუებას" უწოდებს. მაგრამ ისინი კი არ ატყუებენ, თავად არიან მოტყუებულნი და მხოლოდ ტყუილის ჰაერში შეუძლიათ სუნთქვა.

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველნი იცნობენ პატარა გაბერილ კერპს, რომელიც "წარმატების" სახელით ყველგან აღწევს. მათ იციან, რომ ათ წარმატებას, შეუძ ია მარცხადემდე მიიყვანოს ხალხი; მაშინ, როცა პირიქით, ათი მარცხი გამარჯვებით დაგვირგვინდება იმ პირობით, თუკი მტკიცედ დადგა სული. როცა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველნი ხალხს მიმართავენ, ისინი, როგორც წესი, წარუმატებულნი არიან. ყველაფერი, რაც ხალხში წარმატების ჟინით არის ატანილი, წინასწარმეტყველთა წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ, როგორც კი მათ ორმოში ჩაყრიან, რა სულიც ჯერ კიდევ შერჩენია ისრაელს, აგიზგიზდება და იდუმალ დაიწყება შემობრუნება, რომელიც უკიდურეს გასაჭირში განახლებისკენ წარუძღვება ხალხს.

ცრუწინასწარმეტყველი ოცნებებით იკვებება და ისე მოქმედებს, თითოს ოცნება სინამდვილე იყოს. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი ცოცხლობს ჭეშმარიტი სიტყვით, რომელიც მან ისმინა, და უნდა ითმენდეს, როცა ამ სიტყვას ისე განმარტავენ, თითქოს ის იყოს ერთადერთი ჭეშმარიტი გარკვეული "იდეოლოგიური" სფეროსათვის, "მორალური" ან "რელიგიისთვის", მაგრამ არა სახალხო რალური ცხოვრებისთვის.

ჩვენ არ გვყავს იერემია ამჟამად, არც მიქა, იმლას ძე, გვყავს (მე-3 მეფ. 22). მაგრამ ყოველი ქუჩის კუთხეში, მოსალოდნელია, წააწყდეთ ხანანიას ან მის ოდნავ მარჯვნივ მდგარ ციდკიას, მის ამხანაგს, ქენაყანის ძეს, რომელსაც რკინის ან მუყაოს რქები აქვს გაკეთებული საფეთქლებთან და ცარიელ ჰაერს უშვებს პირიდან. გინდ ბრწყინავდეს, გინდ უმნიშვნელო იყოს, ის ყოველთვის ერთი და იგივეა. ჯიქურ შეხედეთ მას თვალებში, თითქოს ეუბნებოდეთ: "მე გიცნობ შენ!" ის წარბს არ შეიხრის. მაგრამ, შესაძ ოა, მცირე

ხნის შემდეგ, როცა თავის ოცნებაში იქნება ჩაფლული, გაახსენდება, როგორ შეხედეთ მას, და გამოერკვევა თავისი ოცნებებიდან. სხვა დროს, როცა ის მოყვება თავის სიზმარს ისე, თითქოს ის ღვთის სიტყვა ყოფილიყოს, შეიძლება წაიფორხილოს ერთი-ორ ფრაზაზე და შეჩერდეს. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. თუმცა ეს წამები უკვე ჩასახული რეფლექსიისა მნიშვნელოვანია.

ინგლისურიდან თარგმნა: **ზურაბ კიკნაძემ**

მთარგმნელისაგან:

მარტინ ბუბერი (1878-1945) იუდაისტი რელიგიური ფილოსოფოსი – სიბრძნის ტრფიალი და არა მაძიებელი ფილოსოფიური სისტემისა, არამედ იმ წყაროსი, საიდანაც მოდის სიბრძნე; თითქოს თეოლოგი, რამდენადაც ის ეძიებს, "სწავლობს" ღმერთს, მაგრამ თეოლოგიის, კლასიკური გაგებით, უარმყოფელი, რადგან ის აღიარებს ცოცხალ, პიროვნულ ღმერთს, რომელთანაც ადამიანს შეუძლია დიალოგის გამართვა, როგორც აბრაამს ან იობს, ან თუნდაც შეჭიდება, როგორც იაკობს. ეს არის "ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისააკისა, ღმერთი იაკობისა", მთელი მოდგმისა მთლიანად და არა მხოლოდ, არამედ თითოეულისა ცალკ-ცალკე, ინდივიდუალურად, ანუ **პიროვნება**, რომელსაც, ადამიანმა შეიძლება მიმართოს შენობით, ანუ ჩაერთოს **მასთან** ისეთ ურთიერთობაში, რომელიც ხორცილდება მხოლოდ **მე** და **შენ**-ს შორის.

"ადამიანის ცხოვრება – წერს ბუბერი წიგნში "მე და შენ", – მხოლოდ გარდამავალ ზმნათა სამყაროში როდი მიედინება. ის არ შედგება მთლიანად ისეთ მოქმედებათაგან, რომელთაც რაღაც აქვთ ობიექტად.

მე აღვიქვამ რაღაცას. მე შევიგრძნობ რაღაცას. მე წარმოდგიენ რაღაცას. მე მსურს რაღაც. მე ვფიქობ რაღაცას. ადამიანის ცხოვრბა არ შედგება მხოლოდ ამისგან, ამ რაღაც-რაღაცეებისგან.

რაღაც-რაღაცეებზე **იგი**-ს სამეფოა დაფუძნებული.

შენ-ის სამეფოს კი სხვა საფუძველი აქვს...

ვინც წარმოთქვამს **შენ**-ს, მას ობიექტად არავითარი **რაღაც** არ ეგულება, რადგან სადაც არის **რაღაც**, ის არის სხვა **რაღაც**. ყოველი **იგი** ესაზღვრება სხვა **იგი**-ს. **იგი** მხოლოდ იმის მეოხეობით არსებობს, რომ ესაზღვრება სხვა **იგი**-ს. ხოლო იქ, სადაც წარმოითქმის **შენ**, არავითარი რაღაც არ არსებობს, **შენ** უსაზღვროა.

ვინც წარმოთქვამს **შენ**-ს, მას არა აქვს არავითარი რაღაც, მას არაფერი არა აქვს, მაგრამ ის შედის ურთიერთობაში".

ასეთ, მე-და-შენურ ურთიერთობაზეა, ბუბერის განცდით, დაფუძნებული ისტორიული პროცესი. წუთისოფლის მთელი თავგადასავალი და კერძო ქვეყნისისტორიაც ემყარება კაცობრივ **მე**-სა და ღვთიური **შენ**-ის ურთიერთობას. ისტორია არის დიალოგი ღმერთსა და კაცობრიობას შორის, ის ღმერთკაცობრივი პროცესია... მისთვის ისტორიის საზრისი ისეთი იდეა არ არის, რომლის გამოთქმა შეიძლებოდეს ადამიანური პიროვნული ცხოვრებისგან დამოუკიდებლივ, მოწყვეტით. "მე მხოლოდ ჩემს პიროვნულ ცხოვრებასთან ერთად შემიძლია მივწვდე ისტორიის აზრს, რადგან ის არის დიალოგური აზრი". ასე განიცდიდა ერის ისტორიას ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი, მხოლოდ ამ დიალოგის ძალით შეეძლო წინასწარმეტყველს წინასწარმეტყველობა. მაგრამ მას ქედზე უღელიც უნდა დაედო ნიშნად პიროვნული მონაწილეობისა ისტორიულ წამებში და კიდევ იმის ნიშნად, რომ ადვილი არ იყო წინასწარტყველის ტვირთის ზიდვა – ღმერთთან დიალოგი და ჭეშმარიტების განცხადება.

იმ წინასწარმეტყველთა კვალზე ბუბერი გრძნობდა, რომ ისტორია თავისუფლების ასპარეზია, რამდენადაც ის ადამიანის თავისუფალი, ხშირად მისთვის საზიანო ნებით წარიმართება. ღმერთი არ აიძულებს ადამიანს იაროს სიკეთის გზით, მაგრამ ყოველთვის აძლევს თავისთან დიალოგის საშუალებას. თუმცა ერს, როგორც ერთ ადამიანს, როგორც

ადამს, მოცემული ჰქონდა აღთქმა, რომ შეენახა რჯული და ეცხოვრა მის მიხედვით, მაგრამ ასევე მოცემული ჰქონდა თავისუფალი არჩევანის უნარი და ის ხშირად, უფრო ხშირად, სიცოცხლის გზის ნაცვლად ირჩევდა დაღუპვის გზას და ეს გზა მაინც მისი, ადამიანური გზა იყო.

მრუდე გზაზე მივალმა ერმა (ეს გზაა ღერძი ძველი აღთქმის მთელი ისტორიისა) დაკარგა მიწა, მოსწყდა წმინდა მიწას და გაიფანტა დედამიწის ზურგზე მასზე დაკისრებული მისიის აღსასრულებლად – შექმნილიყო ისეთ ერად ამ წუთისოფელში, რომელიც ერთადერთი სხვა ხალხებს შორის იცხოვრებდა ღვთის მცნებათა შესაბამისად – ღვთის რჯულით და არა ადამიანური რჯულით. აღთქმა არ იქნა დაცული, მაგრამ აღთქმა მაინც დარჩა; დარჩა არა მხოლოდ რჩეული ერისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის, რათა ადამის მთელი მოდგმა ერთიანად შექმნილიყო რჩეულ ერად, მოვლენოდა მიწას ჭეშმარიტ პატრონად "მე-და-შენის" გახლეჩილი მთლიანობის აღდგენით.

თუ სადმე, რომელიმე ხალხში, იყო პასუხისმგებლობა მიწის მიმართ, ეს იმ ძVელი აღთქმის რჩეულ ერში იყო, როგორც ამას განიცდის მისი მესაიდუმლე მარტინ ბუბერი. ამას მკაფიოდ გამოთქვამს იგი მაჰატმა განდისადმი მიწერილ წერილში ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე, როცა შორს იყო პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს დაარსების ჟამი, იმ ბრალდების პასუხად, რომელიც განდიმ წაუყენა ბუბერის მშობლიურ ერს გაუმართლებელ ნაციონალიზმში.

ბუბერი წერდა განდის:

"იმ ხანაში ჩვენ ვერ აღვასრულეთ ჩვენზე დაკისრებული ამოცანა. ჩვენ ლტოლვილებაში წავედით და ასე დაგვრჩა ამოცანა შეუსრულებელი. მაგრამ აღთქმა დარჩა ჩვენთან და მისი მოთხოვნები ახლა უფრო მეტად გადაუდებელია, ვიდრე ოდესმე. ჩვენ გვჭირდება საკუთარი მიწა, რათა აღვასრულოთ ეს აღთქმა. ჩვენ გვჭირდება თავისუფლება, რათა მოვაწესრიგოთ ჩვენი საკუთარი ცხოვრება. უცხო მიწაზე და უცხო კანონებს დამორჩილებულნი ჩვენ ვერაფერს წამოვიწყებთ. არ ეგების, რომ ჩვენ წაგვერთვას უფლება ჩვენს საკუთარ მიწაზე, წაგვერთვას თვითრეალიზაციის თავისუფლება. ჩვენ ხარბები არა ვართ, მაჰატმა, ჩვენი სურვილია მოგვეცეს, ბოლოს და ბოლოს, მორჩილების შესაძლებლობა".

აქ ბუბერი ბიბლიური წინასწარმეტყველივით ლაპარაკობს, აღვსილი იმათი პათოსით, განსაკუთრებით ოსიასი და ესაიასი, რომლებიც მიწისა და ხალხის ურთიერთობას საქორწინო კავშირად განიცდიან. მიწა სასძლოა, ერი – სიძე, ხოლო ღმერთი მათი დამწმინდველი. "ძველად გლეხი, თითქოს მზის თესლებით სავსე, სიყვარულით უახლოვდებოდა მიწას, ვითარ ქმარი, რათა გაენაყოფიერებია მისი საშო" (გრ. რობაქიძე), გლეხი, რომელიც შენობით მიმართავს მიწას, არის ჭეშმარიტი კაცობრიობის წარმომადგენელი. სამშობლო მიწა მხოლოდ დაბადების ადგილი არ არის; ის სანთიობია, სადაც ადამიანი იმყოფება თავის სძალთან. ისინი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი, ზეციდან დაგვირგვინებულნი და სამარადისო ბეჭდით შეკრულნი. "ხალხი საჭიროებს მიწას, – წერს ბუბერი, – რათა სისხლსავსე ცხოვრებით იცოცხლოს და ამდენადვე მიწაც საჭიროებს ხალხს. მათ ურთიერთქმედებაში უნდა აღსრულდეს მათზე ორთავეზე დაკისრებული მისია. რამდენადაც ქმნადობაში მონაწილეობს როგორც ცოცხალი მიწა, ისე ცოცხალი ერი, ეს ქმნადობა ისტორიის საქმეც არის და ბუნებისაც ერთდროულად..."

ამგვარ, ერთი შეხედვით, მარტივ კონცეფციაში წყდება ეკოლოგიის საუკუნო საჭირბოროტო პრობლემაც. მიწა უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. ეს მიწა ამ ხალხს. მხოლოდ მაშინ დასადგურდება ქვეყანაზე სიმრთელე და მშვიდობა – შალომ, მომცველი ამ ორი მცნებისა. ხელოვნურად გამიჯნული ბუნებისა და ისტორიის სფეროები უნდა გამთლიანდეს. ამ ესქატოლოგიურ აქტს უნდა ეხმაურებოდეს ყველაფერი – მიწის კანონიც და სახელმწიფოებრივი თავისთავადობა. ამიტომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ არის თვითმიზანი: ის საშუალებაა იმ იდეის განხორციელებისა, რომელიც იგულისხმება ბუბერის მიერ აღიარებულ სიონიზმში, პოლიტიკური სიონიზმისგან განსხვავებით.

მაგრამ ბუბერი წინასწარმეტყველი იყო (არა იმდენად პროფეტული, რამდენადაც მამხილებლური გაგებით) და, წინასწარმეტყველთა წესით, დინების საწინააღმდეგო

მიმართულებით მოძრაობდა. ის ესწრაფოდა იმ წმიდა მიწაზე სამართლიანობის, მთლიანობის და მშვიდობის დასადგურებას, ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენას, რისი კონკრეტული გეგმა მასისთვის და ჯიქური პატრიოტებისთვის გაუგებარი და მტრულიც კი იყო. მასაც ჰყავდა თავისი ხანანია და ცრუწინასწარმეტყველთა დასი, რომელთაც შეეძლოთ მისი გამოცხადება ერის მოღალატედ.

"ცრუწინასწარმეტყველებაში" გამოცემული ძველისძველი ამბავი, თითქოს დიდიხნის წინათ ჩამქრალი საპირისპირო ძალთა დაძაბულობა, შესაძლებელია, მის პირად გამოცდილებას ეხმაურება, როგორც იერემიას წინასწარმეტყველება იყო გაუგებარი მისი თანამედროვე პატრიოტებისთვის, რომლებიც ქვეყნის ხსნას ბაბილონის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდნენ, იერემია კი მორჩილებისკენ მოუწოდებდა თვისტოომთ, ასევე გაუგებარი იყო უმრავლესობისთვის ბუბერის გეგმა, ის სურათი, რომელსაც იგი ჭვრეტდა თავის ხილვაში. პალესტინის მიწაზე ის ხედავდა ებრაულ-არაბულ ორენოვან სახელმწიფოს, სადაც უნდა განქარებულიყო დასაბამიერი შუღლი ორ ძმას შორის – ისმაელსა და ისაკს შორის შერიგებულიყო ორი მოდგმა ერთ მიწაზე, რადგან ორივენი მამამთავარ აბრაამის წიაღიდან იყვნენ გამოსულნი. ისმაელიც ხომ აბრაამის ნაშიერი იყო და ისიც შევედრებული ჰყავდა მამას უფლისადმი: "ნეტავ ისმაელმაც იცოცხლოს შენს წინაშეო" (დაბ. 17, 18).

ვინ გაიზიარებდა ან ვინ ირწმუნებდა საუკუნო მტრებად გადაკიდებულ ძმათა შერიგების შესაძლებლობას, ვის შეეძლო მოეცვა ამ იდეის მთელი სიღრმე თავის ჟამში და უჟამობაში, მთელი სიდიადე თანხმობისა, იმ შალომისა, რომელიც დაასრულებდა ისტორიას. არავინ იყო ამის გამგები, თუმცა თითოეულს წინ ედო ფსალმუნის სიტყვები: "აჰა, რა კარგია და რა საამური, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები! როგორც ძვირფასი მირონი თავზე, წვერებზე ჩამოღვრილი! რადგან იქ ბრძანა უფალმა კურთხევა – სიცოცხლე უკუნისამდე!" (ფს. 132, 1-3).

როგორც ყოველი წინასწარმეტყველი, ბუბერიც შორს ჭვრეტდა, მისი იდეალები ესქატოლოგიურ ჟამს სწვდებოდა, იმ დროებას ეკუთვნოდა, რომლისთვისაც მის თანამედროვეთა შორის მცირედნი თი იყვნენ მზად. შორს იყო ის ჟამი, მაგრამ ის უკვე გრძნობდა, რომ უნდა დამდგარიყო ასეთი ჟამი.

წინასწარმეტყველი ატარებს ტრაგიზმს შეუსაბამობისა რეალობასა და იმ სურათს შორის, რომელიც მას ხილვაში ეძლევა. მისი ხილვა დაუჯერებელია და ეს იცის მან. წინასწარმეტყველების მოწოდებასთან ერთად ისიც ეცნობება უფლისგან, რომ მისი სიტყვა განწირულია შეუსმენლობისათვის". ეტყვი მათ ყველა ამ სიტყვას, მაგრამ არ მოგისმენენ; მოუწოდებ, მაგრამ არ გავიგონებ" (იერემია, 7, 27). წინასწარმეტყველმა, კერძოდ, იერემიამ, ისიც კარგად იცოდა, რომ მართალი სიტყვისთვის დევნას დაუწყებდნენ და სასიკვდილოდაც გასწირავდნენ. მას მოსმენილი ჰქონდა ხმა მაღლიდან. "ნუ გეშინია მათი, რადგან შენთან ვიქნები" (1,8). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიუხედავად მის გარშემო გამეფებული სიყრუვისა, მას არ უნდა დაემარხა თავისი სათქმელი, რაც ნაბრძანები ჰქონდა გასაცხადებლად. ის ყოველთვის უნდა ლაპარაკობდეს, რათა სიტყვამ, დღეს თუ არა, ოდესმე გამოღოს ნაყოფი.

იერემია ხედავდა, რომ იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც წარმართავდნენ მეფე და სამღვდელოება, იერუსალიმი უნდა დაქცეულიყო. და იერემიაც წინასწარმეტყველებდა იერუსალიმისა და მისი ტაძრის დაქცევას, ასეთი წინასწარმეტყველება კი არ აამებდა მეფეს, მღვდელმთავართა და ცრუწინასწარმეტყველთა სასმენელთ. როცა უფლისგან განმდგარ მეფეს, იეჰიაკიმს, იერემიას გრაგნილი მიუტანეს და უკითხავდნენ, წაკითხულ ნაწილს მეფე ხევდა და ცეცხლში აგდებდა. ბოლომდე კი წაიკითხა წინასწამეტყველური შეგონება, მაგრამ ყურად არ იღო, ცეცხლს მისცა. დაჯდა იერემია და ხელმეორედ უკარნახა უფლის სიტყვები თავის მოწაფეს, ბარუქს.

როცა სიტყვა აღარავის ესმოდა, მაშინ სიმბოლურ მოწმედებას მიმართავს წინასწარმეტყველი. უფლის შთაგონებით იერემიას მიჰყავს ერის უხუცესნი და სამღვდელოება ჰინომის ველზე და მათ თვალწინ დაამსხვრევს თიხის დოქს სიტყვებით იულას სამეფოს დაცემაზე და ქალაქისა და ტაძრის აოხრებაზე. ამისათვის, მას, თავად

სამღვდელოთა შთამომავალს, სახეში გაარტყა ფაშხურ მღვდელმა, უფლის სახლის ზედამხედველმა, მერე კი შლამიან ჭაში ჩააგდო, რომ იქ სული ამოხდომოდა (იერემია, თ. 20)

იერემიას არ აპატიეს ჭეშმარიტების ლაპარაკი და ერის მოღალატედ შერაცხეს იმის გამო, რომ იმას ამბობდა, რასაც უფალი ალაპარაკებდა: უფალი კი მისი პირით აფრთხილებდა ხალხს, არ შეეკრათ კავშირი ეგვიპტესთან ბაბილონის წინააღმდეგ. უფლის გამოცხადებით, იერემიაუფრო მეტს ხედავდა მომავლის ბინდში, ვიდრე მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილი პატრიოტები, რომელთაც მძულვარებისგან თვალები დაბრმავებოდათ. იერემია კი ლაპარაკობდა ღვთის სიტყვას, რასაც გარდაუვალი ძალა ჰქონდა და უთუოდ უნდა ამხდარიყო. "ამიერიდან მთელი ეს ქვეყანები ნაბუქადონოსორს, ბაბილონის მეფეს, ჩემს მორჩილს, უნდა ჩავაბარო ხელში. ველის მხეცებიც მისთვის ჩამიბარებია, რათა ემორჩილებოდნენ მას... თქვენ კი ნუ დაუჯერებთ ნურც თქვენს წინასწარმეტყველებს, ნურც თქვენს მისნებს, ნურც თქვენს სიზმრებს, ნურც თქვენს მკითხავებს და ნურც თქვენს ჯადოქრებს, რომლებიც გეუბნებიან: ნუ დაემორჩილებით ბაბილონის მეფესო. რადგან მხოლოდ სიცრეუეს გიწინასწარმეტყველებენ ისინი, რათა მოშორდეთ თქვენს მიწას, რომ განგდევნოთ და დაიღუპოთ. ხოლო იმ ხალხს, რომელიც მოიხრის ქედს ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ და დაემორჩილება, დავტოვებ თავის მიწაზე, ამბობს უფალი, დაამუშავებენ მას და იცხოვრებენ იქ ცადკიას, იუდას მეფეს, ვუთხარი იგივე სიტყვები, რომ მოიხარეთ-მეთქი ქედი ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ, დაემორჩილეთ მას და მის ხალხს. და ცოცხალი გადარჩებით-მეთქი. რისთვის უნდა დაიხოცოთ შენ და შენი ერი მახვილით, შიმშილით და შავაი ჭირით. როგორც დაემუქრა უფალი იმ ხალხს რომელიც არ დაემორჩილება ბაბილონის მეფეს" (27, 6-13).

ბოლოს, როცა უფლის სიტყვა სმენითაც აღარავის ესმოდა, მაშინ დაიდო ქედზე იერემიას უღელი და გავიდა ქალაქის ქუჩებში.

თუ ხანანიამ "ყველაფერი" იცოდა, ღვთივშთაგონებულმა იერემიამ იცოდა ერთი ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება, რომ ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ბაბილონს ვერა ძალა ვერ შეარყევდა, რომ ჯერ არ იყო მოწეული მისი ჟამი და რომ წინააღმდეგობა ამაო იყო. რა ძნელიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის მოუთმენლობის სულით ატანილ თვისტომთა იმედების გაქარწყლება, მას არ შეეძლო ამ სიტყვების გამოუცხადებლობა "ვიფიქრე: დაგავიქყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით, მაგრამ ცეცხლი ამიგიზგიზდა გულში, ძვლებამდე გამატანა, ვცდილობდი გამეძლო, მაგრა ვერ შევძელი" (20, 9).

მართლაც, რატომ უნდა განადგურებულიყო ეს ხალხი, რატომ უნდა მოწყვეტილიყო იმ მიწას, რომელიც მას აღთქმული ჰქონდა გაჩენის დღიდანვე; იმ მიწას, სადაც მას უნდა შეესრულებინა რჩეული ერის მისია? ანუ რატომ უნდა გაყროდა ერთმანეთს ის რეალობანი – ერი და მიწა, რომლებიც ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი?